სსიპ საქართველოს
კინემატოგრაფიის ეროვნული
ცენტრის დირექტორი

21 მაისი 2024

N 124

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

კონკურსის - „სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების ქართულ-უცხოური ერთობლივი წარმოების (კოპროდუქცია) დაფინანსება“ - ფარგლებში ფილმის პროექტის დაფინანსების შესახებ

„ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს №3/256 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, „სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საკონკურსო დებულებისა და საექსპერტო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის 2024 წლის 25 მარტის №05/36 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საკონკურსო დებულების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის, „კონკურსის - „სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების ქართულ-უცხოური ერთობლივი წარმოების (კოპროდუქცია) დაფინანსება“ - გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების დამტკიცების შესახებ“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 2 აპრილის №48 ბრძანების, „კონკურსის - „სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების ქართულ-უცხოური ერთობლივი წარმოების (კოპროდუქცია) დაფინანსება“ - ფარგლებში წარდგენილი განაცხადების განხილვის მიზნით საექსპერტო კომისიის პირველი შემადგენლობის (ჟიურის) შექმნის შესახებ“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 17 აპრილის №84 ბრძანებისა და „კონკურსის - „სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების ქართულ-უცხოური ერთობლივი წარმოების (კოპროდუქცია) დაფინანსება“ - ფარგლებში მეორე ეტაპზე გადასული ფილმის პროექტის განხილვის მიზნით საექსპერტო კომისიის მეორე შემადგენლობის შექმნის შესახებ“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 10 მაისის №113 ბრძანებით შექმნილი საექსპერტო კომისიის მეორე შემადგენლობის 2024 წლის 21 მაისის დასკვნის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომ - ეროვნული კინოცენტრი) დირექტორის 2024 წლის 2 აპრილის №48 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის - „სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების ქართულ-უცხოური ერთობლივი წარმოების

(კოპროდუქცია) დაფინანსება“ - ფარგლებში დაფინანსდეს სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი - ქართულ-ბრიტანული ერთობლივი წარმოება (კოპროდუქცია) „ახალგაზრდა სტალინი“ - პროდიუსერი შპს „დამოუკიდებელი კინო პროექტი“ (ს/ნ 405378167), რეჟისორი გელა ბაბლუანი; დაფინანსდეს 1 200 000 (ერთი მილიონ ორასი ათასი) ლარით.

2. ეროვნულ კინოცენტრთან ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, პროდიუსერი ვალდებულია, ამ ბრძანების გამოცემიდან 10 (ათი) თვის განმავლობაში წარმოადგინოს ალტერნატიული დაფინანსების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში გადაწყვეტილება დაფინანსების თაობაზე ძალას კარგავს.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

კობა ხუბუნაია

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი